განკარგულება:**გ-17. 17232347**
თარიღი:**22/08/2023**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ანგარიშის შეფასება 2022-2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა.“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. მოსმენილი იქნას და შეფასდეს დადებითად ბორჯომის მუნიციპალიტეტი მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ანგარიშის შეფასება 2022-2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქ #62).

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **16-1623228118**
თარიღი: **16/08/2023**

ადრესატი: ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით ზაალიშვილს

ბატონო დავით,

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ივნისის # გ-17.1723171001 განკარგულებით დამტკიცებული, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის კვარტალური სამუშაო გეგმის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, იურიდიული სამსახურის ანგარიშს, 2022-2023 წლებში გაწეული სამუშაოს შესახებ.

დანართი: 05 ფურცელი

პატივისცემით,

ოთარ არბოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური

2022-23 წლის ანგარიში

2023 წ.

ქ. ბორჯომი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, იურიდიული სამსახურის 2022-23 წლის ანგარიში

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურმა 2021-2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინა 2022 წლის 21 ოქტომბერს, შესაბამისად, საანგარიშო პერიოდი წარმოდგენილია **2022 წლის 21 ოქტომბრიდან 2023 წლის აგვისტომდე**.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, იურიდიული სამსახური საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის №75 დადგენილებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეული, იურიდიული სამსახური:

- უზრუნველყოფს მერიის სტრუქტურული ერთეულების სამართლებრივ დახმარებას (კონსულტირებას).
- უზრუნველყოფს შესაბამისი ნორმატიული აქტების და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების და მუნიციპალიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას.
- უზრუნველყოფს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვას ყველა ინსტანციის სასამართლოში, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას; აკეთებს სასამართლო დავების ანალიზს და ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს.
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სამსახურში შემოსული განცხადებების, წერილების და მომართვების განხილვას;
- ახორციელებს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 2023 წელს იურიდიული სამსახურის დებულებაში განხორციელებული ცვლილებების თანახმად სამსახური ასევე ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209[3] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას შედგენილი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრების შემთხვევაში და მოსაზრებას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს **და სხვ.**

სამსახურის წარმომადგენლები აქტიურ და ნაყოფიერ მონაწილეობას იღებენ სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, რომელიც იხილავს სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს მიერ მიღებულ აქტებთან დაკავშირებით წარმოდგენილ საჩივრებს.

2022 წლის 21 ოქტომბრიდან დღემდე განვლილ პერიოდში იურიდიული სამსახური აწარმოებს 99 სასამართლო საქმეს, მათ შორის დავა არ დასრულებულა 86 საქმეზე. დავების ძირითადი ნაწილი ეხება:

- სამშენებლო სამართალდარღვევებს, მათ შორის სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების კანონიერებას;
- მიწის დარეგისტრირებასთან დაკავშირებულ დავებს;

- ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ დავებს;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას.

13 საქმიდან - 3-ზე შეწყდა წარმოება, 3 საქმე დარჩა - განუხილველი, ხოლო 1 საქმე ეხებოდა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენას, 2 საქმეზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, ხოლო 4 საქმე მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ დასრულდა.

86 დავიდან პირველ ინსტანციაში არ დასრულებულა და კვლავ მიმდინარეობს 58 საქმე, მეორე ინსტანციაშია სასამართლო დავა 20 საქმეზე, უზენაეს სასამართლოშია - 1 საქმე. პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილება გამოცხადდა, თუმცა კანონიერ ძალაში არაა შესული - 7 საქმეზე, შეჩერებულია - 5 საქმე.

86 მიმდინარე დავიდან პირველ ინსტანციაში მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დასრულდა 14 დავა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი - 12 საქმეზე.

86 დავიდან - 6 სამოქალაქო დავაა, 80 - ადმინისტრაციული (მათ შორის 4 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა). **აღნიშნული 80 ადმინისტრაციული საქმიდან 44 დავა ეხება - სამშენებლო სამართალდარღვევებს**, ხოლო 5 საქმე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების კანონიერებას, ხოლო დანარჩენი - სხვადასხვა ადმინისტრაციულ წარმოებების კანონიერების შესწავლას.

როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადი სასამართლო დავები მიმდინარეობს სამშენებლო სამართალდარღვევების შესახებ ადმინისტრაციულ საქმეებზე.

იურიდიული სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, პრევენციული ღონისძიების გატარების მიზნით, ფორმირება გაუკეთდა საკანონმდებლო ხარვეზებს და მომზადდა შესაბამისი პროექტები.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის წარმატებით დასრულდა ადმინისტრაციული საქმე ერთ-ერთი მოქალაქის მიმართ მეორე ინსტანციაშიც და სასამართლოს 2023 წლის განჩინებით ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე მხარეს დაეკისრა **25 000** ლარი ჯარიმის გადახდა და უნებართვოდ წარმოებული მშენებლობის დემონტაჟი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია სხვა უფლებამოსილებებთან ერთად „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას ფიზიკურ პირთათვის მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული სახელმწიფო საბინაო ფონდის არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

იურიდიული სამსახურის სპეციალისტები განმცხადებლებს უწევენ სამართლებრივ კონსულტაციას

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის პრივატიზაციის მოთხოვნით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოსთვის სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით.

ზემოაღნიშნული უფლებამოსილებისა და გაწეული კონსულტაციების საფუძველზე საანგარიშო პერიოდში იურიდიული სამსახურის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაიცა 3 საკუთრების მოწმობა, 3 განცხადება დარჩა განუხილველი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო, ორ განმცხადებელს უკან დაუბრუნდა დოკუმენტაცია მათივე მოთხოვნით, ხოლო ორ განცხადებაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

2023 წელს იურიდიულმა სამსახურმა ასევე სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობის და ტურიზმის განყოფილებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს ფორმირებისა და დებულების შემუშავების პროცესში. უწყვეტად თანამშრომლობს და კონსულტირებას უწევს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა შესაბამისი დადგენილებების პროექტები და ცვლილებები განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის, ასევე იურიდიული სამსახურის დებულებაში.

შემუშავებულ იქნა დადგენილების პროექტი „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“, შესაბამისი პროცედურები განხორციელდა „საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“-ს შესაბამის სტრუქტურებში ენობრივი სისწორის გადამოწმებისა და რეგისტრაციაში გატარების მიზნით.

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივლისის N14 დადგენილების თანახმად საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება მუნიციპალიტეტის მერთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული 16 ადმინისტრაციული საჩივრიდან 15 ეხებოდა ბაკურიანის განვითარების სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების კანონიერების შესწავლას. შემოსული საჩივრებიდან 3-ზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, 4 საჩივარი დარჩა განუხილველი, ხოლო 9 საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ საჩივრებსა და მათზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე მიმდინარეობდა 6 სასამართლო დავა, აქედან 2 საქმეზე პირველ ინსტანციაში არ დაკმაყოფილდა სარჩელი და გასაჩივრდა სააპელაციო წესით, 1-ზე შეწყდა სამართალწარმოება, ხოლო 3 საქმე - მიმდინარეა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეთა ყოველმხრივ და სრულყოფილად განხილვისთვის, ასევე ზეპირ მოსმენათა გამართვის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის წევრია იურიდიული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იურიდიულ კონსულტაციას უწევს სამსახურებს ადმინისტრაციული წარმოების კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელებისთვის.

იურიდიული სამსახურის მიერ განხორციელებული სხვა საქმიანობა:

- 2023 წლის განმავლობაში იურიდიული სამსახურის თანამშრომლები დაესწრნენ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სწავლება ტრენინგს ქონების მართვის საკითხებთან დაკავშირებით.
- მიმდინარე წლის მაისის თვეში იურიდიული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ევროპის საბჭოს დირექტორატის ეგიდით ორგანიზებული პროექტის ფარგლებში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა ავსტრიაში. სასწავლო ვიზიტი შეეხებოდა ავსტრიის სამი ქალაქის - ბრეგენცის, ზალცბურგისა და ვენის - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის კარგი პრაქტიკების გაცნობას.
- საანგარიშო პერიოდში სამსახურის წარმომადგენლებს მონაწილეობა აქვთ მიღებული საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტში გამართულ სხვა არაერთ შეხვედრასა თუ ტრენინგში.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის

იურიდიული სამსახურის უფროსი

თეა კიკაძე: **/თ.კიკაძე/**